<u>პროექტი</u>

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოების და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების

დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტესქსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი" ან ,,თსუ") სარედაქციო-საგამომცემლო საქმიანობის სრულყოფის მიზნით იქმნება უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოები და დარგობრივი სარედაქციო კოლეგიები.

მუხლი 2. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო

1. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება რექტორის ბრძანებით 4 წლის ვადით.

2. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა რექტორი. რექტორი თავისი ბრძანებით ნიშნავს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს თავჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

3. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო:

ა) განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის წლიურ ბეჭდვით და ელექტრონულ საგამომცემლო გეგმას საგამომცემლო საქმიანობისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში. გეგმაში ყოველწლიურად გათვალისწინებული უნდა იქნას სარეზერვო ფონდის მოცულობაც.

ბ) ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას სახელმძღვანელოს, დამხმარე სახელმძღვანელოს, საცნობარო და მეთოდური ლიტერატურისა და ლექციების კურსისათვის გრიფის (თსუ უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით გამოცემული ლიტერატურა) მინიჭებისა და ნაბეჭდი ან ელექტრონული სახით მათი უნივერსიტეტის გამომცემლობის გრიფით გამოცემის თაობაზე (საჭიროების შემთხვევაში აგზავნის (აბრუნებს) დამატებითი რეცენზირებისათვის);

გ) ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას მონოგრაფიებისა და სხვა სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის თაობაზე. საჭიროების შემთხვევაში აგზავნის (აბრუნებს) მათ დამატებითი რეცენზირებისათვის;

დ) ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წარდგინებით იღებს გადაწყვეტილებას სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის თარგმნის თაობაზე, უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად;

ე) იღებს გადაწყვეტილებას სპეციალური და საიუბილეო გამოცემათა თაობაზე.

4. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო სასწავლო წლის განმავლობაში სემესტრში ერთხელ მაინც ატარებს სხდომას, რომელიც ფორმდება ოქმის სახით.

5. სხდომა უფლებამოსილია ჩატარდეს, თუ მას ესწრება წევრთა რაოდენობის ნახევარი მაინც. სხდომაზე თავმჯდომარის რაიმე მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაშისხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

6. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით.

7. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრის მუშაობა აისახება მის წლიურ დატვირთვაში.

მუხლი 3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო და დარგობრივი სარედაქციო კოლეგია

1. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო თავისი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს ლიტერატურის გამოცემის საკითხს, იღებს გადაწყვეტილებას ლიტერატურის გამოცემის ან გამოცემაზე უარის თქმის შესახებ საგამომცემლო საქმიანობისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული გამოყოფილი ფინანსური რესურსების ფარგლებში.

2. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო იქმნება საფაკულტეტო საბჭოს გადაწყვეტილებით.

3. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრები არიან: თავმჯდომარე, მოადგილე, მდივანი, წევრები.

4. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრი შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალი რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბ-რებული ხარისხი.

5. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარეა ფაკულტეტის დეკანი.

6. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობას წარადგენს დეკანი და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომაზე თავმჯდომარის რაიმე მიზეზით გამოუცხადებლო-ბის შემთხვევაში სხდომას უძღვება ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დამსწრეთა ხმების უმრავლესობით.

8. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო ქმნის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიებს. დარ-გობრივი სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა არ უნდა აღემატებოდეს 5 წევრს. კოლეგია თავისი შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს.

9. დარგობრივი სარედაქციო კოლეგიების თავმჯდომარეები შედიან საფაკულტეტო საგამომცემლო საბჭოს შემადგენლობაში.

10. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემად-გენლობის ნახევარზე მეტი წევრი. კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას სრული შემადგენლობის ხმების უმრავლესობით;

11. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია განიხილავს გამოსაცემად მომზადებულ მასალას და ამზადებს წინასწარ დასკვნას მისი შემდგომი მსვლელობის შესახებ. საჭიროების შემთხვევა-ში წარმოდგენილ მასალას აგზავნის რეცენზენტ(ებ)თან შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით. რეცენზირება უნდა იყოს ფარული.

12. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს განსახილველად წარუდგენს შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) გამოსაცემად წარმოდგენილი მასალის დასახელებას და მოკლე აღწერას;

ბ) ავტორის (ავტორთა) CV-ს;

გ) რეცენზიებს;

დ) წინასწარ დასკვნას.

13. სარედაქციო კოლეგიის წინასწარი დასკვნის საფუძველზე ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილებები:

ა) წინასწარი დასკვნის დამტკიცების შესახებ;

ბ) წინასწარი დასკვნის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი შენიშვნებით ან განმარტებებით სარედაქციო კოლეგიისათვის დაბრუნების თაობაზე.

14. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო საჭიროების შემთხვევაში ახდენს გამოსაცემად წარმოდგენილი ლიტერატურის რანჟირებას მისთვის განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში.

15. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, აგრეთვე დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის სხდომა ფორმდება სათანადო ოქმით.

16. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოს წინაშე.

17. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს წევრის მუშაობა ჩაითვლება მის წლიურ დატვირთვაში.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი და დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები, უნივერსიეტის ბიბლიოთეკა და გამომცემლობა თავისი

სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოცემის ინიციატივის შემთხვევაში უშუალოდ მიმართავენ უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს.

მუხლი 5. დასკვნით დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დანართი N2

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასაბეჭდი სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის წარდგენის, განხილვის და გამოცემის წესი

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

ამ მუხლში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სახელმძღვანელო – მეცნიერების კონკრეტული დარგის ცოდნის მწყობრი სისტემის – დისციპლინის – ძირითადი სასწავლო წიგნი, დაწერილი სათანადოდ დამტკიცებული და აპრობირებული პროგრამის შესაბამისად მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე.

ბ) ლექციების კურსი – კონკრეტული დისციპლინის თეორიული ნაწილის ავტორისეული გადმოცემა, დაწერილი სათანადოდ დამტკიცებული და აპრობირებული პროგრამის შესაბამისად მაღალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე.

გ) დამხმარე სახელმძღვანელო – მოცემული დისციპლინის ცალკეული ნაწილის (ნაწილების) გაღრმავებული შესწავლისათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნი – ქრესთომატია, ტექსტები, საკითხავი მასალა, და სხვ., ან თეორიული ცოდნის განმტკიცებისა და პრაქტიკულად გამოყენების უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის განკუთვნილი სასწავლო წიგნი – ამოცანების, მაგალითების, სავარჯიშოების, ტესტების კრებულების, ლაბორატორიული სამუშაოების აღწერილობები.

დ) სამეცნიერო ლიტერატურა – მონოგრაფია, სამეცნიერო ჟურნალი, ლექსიკონი, განმარტებითი და ენციკლოპედიური ლექსიკონი, ატლასი, ალბომი, ცხრილები და სხვა.

ე) გრიფის მინიჭება – ლიტერატურისათვის თსუ ლოგოს და წარწერის „გამოცემულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით“ მინიჭების ვალდებულება, იმ შემთხვევაში თუ იგი გამოცემულია უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 2. სასწავლო ლიტერატურის (სახელმძღვანელო, ლექციების კურსი და სხვა) მიმართ წაყენებული მოთხოვნები

1. სასწავლო ლიტერატურა წარმოადგენდეს ცოდნის ძირითად წყაროს კონკრეტულ სასწავლო დისციპლინაში და უნდა იძლეოდეს სტუდენტთა მიერ ამ ცოდნის დამოუკიდებლად ათვისების შესაძლებლობას.

2. სასწავლო ლიტერატურის შინაარსი უნდა იყოს გადმოცემული ცოდნის ათვისების თანამედროვე მეთოდიკისა და სასწავლო კურსის შესაბამისი წინაპირობების გათვალისწინებით.

3. სასწავლო ლიტერატურის მოცულობა უნდა შეეფარდებოდეს კრედიტების იმ რაოდენობას, რომელიც მოცემული კურსის შესასწავლადაა გამოყოფილი. შესაძლებელია სახელმძღვანელო აგებული იქნას ისე, რომ მან მოიცვას ერთსა და იმავე დისციპლინაში კრედიტების სხვადასხვა რაოდენობისათვის გათვალისწინებული კურსები.

4. სასწავლო ლიტერატურით გათვალისწინებული მასალა უნდა დაიყოს მეთოდურად გამართლებულ სტრუქტურულ ელემენტებად: ნაწილებად, თავებად, პარაგრაფებად (ლექციებად). ძირითადი ტექსტობრივი მასალა და საცნობარო-თანმხლები აპარატი უნდა დალაგდეს შემდეგი თანმიმდევრობით:

ა) სარჩევი;

ბ) წინასიტყვაობა;

გ) მეთოდური რეკომენდაციები;

დ) ძირითადი ტექსტი;

დ) დასკვნა;

ე) დამატება;

ვ) საძიებლები;

ზ) ანოტირებული და სათანადოდ კლასიფიცირებული რჩეული ბიბლიოგრაფია.

5. ავტორმა (ავტორთა კოლექტივმა) სასწავლო ლიტერატურის გამოცემასთან დაკავში-რებით ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოში უნდა წარმოადგინოს:

ა) პროექტის აღწერა. დამტკიცებულ კურიკულუმებთან და სასწავლო პროგრამებთან შესაბამისობის დადასტურებით;

ბ) სარჩევი;

გ) შედარებითი ანალიზი ანალოგიურ გამოცემებთან;

დ) მეთოდური მითითებანი, სავარაუდო აუდიო, ვიდეო და სხვა დამატებითი მასალების მითითებით;

ე) ერთ-ერთი ძირითადი თავი (შესავლის, საგნის განსაზღვრის, ლიტერატურული მიმოხილვის გარდა);

ვ) მარკეტინგული შეფასება (ნუსხა სასწავლო დაწესებულებების და დარგების, ვისთვისაც არის განკუთვნილი. დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებების ნუსხა და სხვა);

ზ) სასურველი რეცენზენტები (3-5 პირის ოდენობით, სახელის, გვარისა და მისამართის მითითებით);

თ) არასასურველი რეცენზენტები (არაუმეტეს 5-სა. სახელისა და გვარის მითითებით);

ი) ავტორთა სრული CV.

6. წარმოდგენილი მასალები გადაეცემა შესაბამის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას წინასწარი ფარული რეცენზირებისათვის.

7. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია გამოყოფს ორ რეცენზენტს - ამ მუხლის მე-5 პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ერთ რეცენზენტს, ხოლო მეორე რეცენზენტს შეარჩევს დამოუკიდებლად წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტისა. კოლეგია იხილავს რეცენზიებს ორი თვის ვადაში.

მუხლი 3. სამეცნიერო ლიტარატურის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

1. თსუ გრიფით გამოიცემა შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა: მონოგრაფიები, წიგნები, სამეცნიერო ჟურნალები, შრომები და სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების და სხვა სამეცნიერო შეკრებათა შედეგების ამსახველი მასალები.

2. დარგობრივ საუნივერსიტეტო შრომებსა და სამეცნიერო ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი სტატიების ფარულ რეცენზირებას და რედაქტირებას ორგანიზებას უკეთებენ შრომების კრებულების და ჟურნალების სარედაქციო კოლეგიები. ისინი თვითონვე განსაზღვრავენ გამოცემის ენას.

3. მონოგრაფიებისა და სხვა სახის სამეცნიერო წიგნების ავტორებმა საფაკულტეტო-საგამომცემლო საბჭოში უნდა წარმოადგინონ:

ა) პროექტის აღწერა;

ბ) სარჩევი;

გ) შედარებითი ანალიზი ანალოგიურ, მათ შორის საზღვარგარეთულ გამოცემებთან;

დ) ერთ-ერთი ძირითადი თავი (შესავლის, ლიტერატურის მიმოხილვის და სხვა დამხმარე თავების გარდა);

ე) მარკეტინგული შეფასება (დაინტერესებული სამეცნიერო საზოგადოებების და დაწესებულებებს ნუსხა და სხვა);

ვ) სასურველი რეცენზენტები (3-5 პირი, სახელის, გვარისა და მისამართის მითითებით);

ზ) არასასურველი რეცენზენტები (არაუმეტეს 5-სა, სახელისა და გვარის მითითებით);

თ) ავტორ(ებ)ის სრული CV.

4. წარმოდგენილი მასალები გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, რომელიც, თუ მასალებს მისაღებად ჩათვლის, გადასცემს შესაბამის დარგობრივ სარედაქციო კოლეგიას წინასწარი ფარული რეცენზირებისათვის.

5. კოლეგია გამოყოფს ორ რეცენზენტს - ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ერთ რეცენზენტს, ხოლო მეორე რეცენზენტს შეარჩევს დამოუკიდებლად წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტისა. კოლეგია იხილავს რეცენზიებს ორი თვის ვადაში.

მუხლი 4. რეცენზირება და გადაწყვეტილებების მიღება

1. გამოსაცემად მომზადებული სასწავლო და სამეცნიერო ნაშრომების განხილვის შედეგად, ორი დადებითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში, დარგობრივი სარედაქციო კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა გადაეცემა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, რომელიც ნაშრომს რეკომენდაციას უწევს უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს წინაშე.

2. განხილვის შედეგად, ერთი უარყოფითი რეცენზიის არსებობისას, კოლეგიის მიერ ხდება წარმოდგენილი ნაშრომის დამატებით რეცენზირებაზე გადაცემა. ასეთ შემთხვევაში იკრძალება ნაშრომის იმავე რეცენზენტთან ან მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ რეცენზენტებისათვის შესაფასებლად გადაცემა.

3. დამატებითი რეცენზირების შედეგად ნაშრომზე ორი დადებითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში კოლეგიის მიერ შედგენილი წინასწარი დადებითი დასკვნა გადაეცემა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, ხოლო ორი უარყოფითი რეცენზიის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს ეგზავნება სარედაქციო კოლეგიის წინასწარი უარყოფითი დასკვნა.

4. გამოსაქვეყნებლად მომზადებული ნაშრომის ავტორებს უფლება აქვთ გაეცნონ უარყოფითი რეცენზიების შინაარსსა და დადებით რეცენზიებში არსებულ შენიშვნებს (ამავე ფორმით) რეცენზენტების ვინაობის გამჟღავნების გარეშე.

5. დარგობრივი სარედაქციო კოლეგია, ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს მიერ რეკომენდებული ლიტერატურას საბოლოო რეცენზირებისათვის გადასცემს ოფიციალურ რეცენზენტს და გამოყოფს მეცნიერ-რედაქტორს. მეცნიერ-რედაქტორის შენიშვნების გათვალის-წინების შემდეგ ლიტერატურა გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს, შემდგომში უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოსთვის წარდგენის მიზანშეწონილობის გადასაწყვეტად.

6. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭო, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, მიმართავს შუამ-დგომლობით უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოს გამოსაცემად რეკომენდებული ლიტერატურის გამოცემისა და მისთვის საუნივერსიტეტო გრიფის მინიჭების შესახებ.

7. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას ლიტერატურის გამოცემის თაობაზე და დადებითი პასუხის შემთხვევაში ანიჭებს მას გრიფს და გადასცემს გამომცემლობას, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებისა (რომელოიც მოიცავს გამოცემის, ბეჭდვის პირობებს, მათ შორის ფინანსურ პირობებს) და ბეჭდვის მიზნით.

8. უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო და ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოები შესაბამისი საფუძვლისა და დასაბუთების არსებობის შემთხვევაში უფლებამოსილი არიან

დააბრუნონ გამოსაცემად მომზადებული მასალა ხელახალი განხილვისთვის ან წესით დადგენილი პროცედურით თავად მოახდინონ მისი ხელახალი რეცენზირება.

9. აღწერილი და დალუქული რეცენზირების მასალები ინახება უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭოში

10. სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურა უნივერსიტეტის გრიფით შეიძლება გამოიცეს უნივერსიტეტის, ავტორების და/ან სპონსორების ხარჯზე.

11. ფაკულტეტის საგამომცემლო საბჭოს რეკომენდაციით უნივერსიტეტის საგამომცემლო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აღიარებული უცხოური სახელმძღვანელოებისა სამეცნიერო ნაშრომების ქართულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის შესახებ, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.